N 6069/09 28/04/2022

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №188/2022**

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი იაკობაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს სხივი** (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისის დირექტორის დავით კვირიკაშვილის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა**

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. “სამუშაოები” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგან

1.5. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.6. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. შესყიდვის ობიექტია სარემონტო სამუშაოების (CPV45442180) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სურასათის ეროვნული სააგენტოს ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ბიოუსაფრთხოების პუნქტის სარემონტო სამუშაოები.

2.3. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2,821.33 ₾ (ორი ათას რვაას ოცდაერთი ლარსა და ოცდაცამეტ თეთრს).**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ, მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართეველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

3.3. ხელშეკრულება ფინანსდება სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის **„ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა”-ს** ფარგლებში.

## 4. სამუშაოების შესრულების ვადები და ადგილი

4.1. სამუშაო გაეწეული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 13 მაისისა.

4.2. სამუშაოს გაწევის ადგილია რუსთავის მუნიციპალიტეტი, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ბიოუსაფრთხოების პუნქტი.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაო ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. ფაქტიურად გაწეულ სამუშაოზე მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირი.

## 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული სამუშაოს შესაბამისად, 10 დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1. გადაიხადოს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.4.1. განახორციელოს სამუშაოები ხარისხიანად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4.2. შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი, სამუშაოს ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

## 8. ხელშეკრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე **ალექსანდრე ლომსაძე.**

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის ფუნქციაა შესრულებული ან/და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

## 9. გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, სფეროში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს, მოქმედი რეგულაციებისა და სტანდარტების შესაბამისი.

## 10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. მიმწოდებლის მხრიდან, ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო დაგვიანებით შესრულებული სამუშაობის ღირებულების 0.02% ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ასეთ შემთხვევაზე;

11.3. ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, „შემსყიდველს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ასანაზღაურებელი თანხის 0.02%-ის ოდენობით

11.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

11.5. თუ ხელშეკრულების 11.1. და 11.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს, შემსყიდველ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

11.6. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს

გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**14. დაუძლეველი ძალა**

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან  და მოქმედებს 2022 წლის 30 ივლისის  ჩათვლით.

**16. სხვა პირობები**

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

| | |
|---|---|
| **სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო** | **შპს სხივი** |
| ს.კ. – 205142200<br>თბილისი, მარშალ გელოვანის №6<br>სახელმწიფო ხაზინა<br>ანგარიში: 200122900<br>კოდი: 220101222 | **სნ: 425366436**<br>მომსახურე ბანკი: ს.ს. “საქართველოს ბანკი”<br>ტელ: 571 50 46 99<br>ბ.კ. – BAGAGE22<br>ა.ა. –GE78BG0000000365941218 |
| **სააგენტოს უფროსის მ/შ**<br><br>**გიორგი** **იაკობაშვილი**<br>_____ | **დირექტორი**<br>Daviti Kvirikashvili Digitally signed by Daviti Kvirikashvili Date: 2022.04.28 19:13:29 +04'00'<br>**დავითი კვირიკაშვილი** |

დანართი №1

| # | საფუძველი | სამუშაოს დასახელება | განზ. | ნორმატიული რესურსი | | ღირებულება (ლარი) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ | სულ | ერთ. ფასი | სულ |
| 1 | 2' | 3' | 4' | 5' | 6' | 7' | 8' |
| **სამუშაოს დასახელება** | | | | | | | |
| **1.1. დემონტაჟის სამუშაოები** | | | | | | | |
| 1 | 46-28-2 | **არსებული დაზიანებული სარინელის დემონტაჟი** | $მ^3$ | | **1.20** | | - |
| | | შრომითი დანახარჯი | | | 1.20 | 100.00 | 120.00 |
| 3 | 46-32-3 | **ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე** | | | **1.20** | | - |
| | | შრომითი დანახარჯი | | | 1.20 | 20.00 | 24.00 |
| | | ნაგვის გადაყრა | | | 1.00 | 50.00 | 50.00 |
| | | **დაზიანებული ლამპიონების დემონტაჟი** | ცალი | | **2.00** | 25.00 | 50.00 |
| | | **დაზიანებული ონკანების დემონტაჟი** | ცალი | | **2.00** | 5.00 | 10.00 |
| | | **დაზიანებული საკეტების დემონტაჟი** | ცალი | | **4.00** | 5.00 | 20.00 |
| | | **დაზიანებული წყლის ნასოს დემონტაჟი** | ცალი | | **1.00** | 5.00 | 5.00 |
| **სარინელის დასხმა** | | | | | | | - |
| 1 | 15-52-3 | **სარინელის მოწყობა ქვიშა ცემენტის ხსნარით** | $მ^3$ | | **1.20** | | - |
| | | შრომითი დანახარჯი | $მ^3$ | | 1.20 | 100.00 | 120.00 |
| | | ქვიშა ცემენტის ხსნარი | $მ^3$ | | 1.20 | 130.00 | 156.00 |
| 3 | 11-27-6 | **სახელიურების შეცვლა კარებებზე** | ცალი | | **1.00** | | - |
| | | ლითონის კარის საკეტი კომპლექტი | ცალი | | 2.00 | 60.00 | 120.00 |
| | | მეტალო პლასტმასის კარის საკეტი კომპლექტი | ცალი | | 2.00 | 50.00 | 100.00 |
| | | შრომითი დანახარჯი | ლარი | | 1.00 | 70.00 | 70.00 |
| | | წყლის ნასოსის მონტაჟი | ცალი | | 1.00 | 100.00 | 100.00 |
| | | ნასოსი 0,75 კილოვატიანი | ცალი | | 1.00 | 500.00 | 500.00 |
| **4** | **11-27-2** | **ნიჯარის ონკანი** | **ლარი** | | **2.0** | | - |
| | | შრომითი დანახარჯი | ცალი | | 1.000 | 60.00 | 60.00 |
| | | ონკანი | | | 1.000 | 40 | 40.00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5** | **15-163-2,1** | **განათების მოწყობა ბასეინის თავზე და სამკვანძში** | **ცალი** | | **3.0** | | - |
| | | კაბელი | გრძ.მ | | 25.000 | 4 | 100.00 |
| | | გოფრირებული მილი | გრძ.მ | | 25.000 | 2 | 50.00 |
| 6 | 34-59-7, 10-56-3 | **ჩამრთველი** | ცალი | | **1.00** | 10.00 | 10.00 |
| | | ეკონომ ნათურა ბასეინის თავზე 35 ვატიანი | ცალი | | 2.00 | 40.00 | 80.00 |
| | | სამკვანძის ნათურა 15 ვატიანი | ცალი | | 1.00 | 8.00 | 8.00 |
| | | შრომითი რესურსი | ლარი | | 1.00 | 100.00 | 100.00 |
| | | **ლამპიონის შეცვლა** | ცალი | | 2.00 | | - |
| | | შრომითი რესურსი | ლარი | | 2.00 | 50.00 | 100.00 |
| | | **დუშების შეცვლა არსებული ანალოგი** | ცალი | | 9.00 | | - |
| | | **დუშები** | ცალი | | 9.00 | 15.00 | 135.00 |
| 7 | 15-168-4 | შრომითი რესურსები | ლარი | | **9.00** | 3.00 | 27.00 |
| | | მასალების ტრანსპორტირება | ლარი | | **1.00** | 100.00 | 100.00 |
| | | | | | | **ჯამი** | **1,976.00** |
| | | | | | | **ზედნადები ხარჯები** **10%** | **197.60** |
| | | | | | | **ჯამი** | **2,173.60** |
| | | | | | | **გეგმიური დაგროვება** **10%** | **217.36** |
| | | | | | | **ჯამი** | **2,390.96** |
| | | | | | | **დღგ** 18% | **430.37** |
| | | | | | | **სულ ჯამი** | **2,821.33** |

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

Daviti Kvirikashvili

Digitally signed by Daviti Kvirikashvili
Date: 2022.04.28 19:14:43 +04'00'